



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვირტია ავქსენტი (ბაჩო) ბადრის ძე

კვირტია ავქსენტი (ბაჩო) ბადრის ძე (დ. 8. XI. 1974, ზუგდიდი), მწერალი. 1996 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის დრამატურგიის ხელოვნების ფაკ-ტი. 2002-03 მუშაობდა ტელეკომპანია „მე-9 არხში“, 2003-05 – გაზ. „ახალი ვერსიის“ კულტურისა და საზოგადოების განყ-ბაში რედაქტორად. პირველი მოთხრობა „ანოფელესი“ გამოაქვეყნა 1994, პირველი პროზაული კრებ. „მატარებლის მოსვლამდე“ – 2007. ავტორია პროზაული კრებულებისა: „მძინარე ციკლოპის ძახილი“ (2011), „ტასმანიური ვეფხვი“ (2013). მიღებული აქვს ლიტ. კონკურსების – „Pen-მარათონის“ (წინანდალი, 2007) და „წეროს“ (2007) – პრემიები; 2008 – ლიტ. პრემია „საბა“, ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“ კრებულისათვის „მატარებლის მოსვლამდე“, 2011 – გურამ რჩეულიშვილის სახ. ლიტ. პრემია „ალავერდი“ ნომინაციაში „საუკეთესო მოთხრობა“.

2011-იდან არის ქართული Pen-კლუბის წევრი.
